



საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მონიტორინგის ანგარიში



მონიტორინგი განხორციელდა დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით

სარჩევი

1. შესავალი	3
2. კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობა	4
3. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა	5
4. საბიუჯეტო კონტროლი.....	10
5. ოფიციალური კორესპონდენციის ანალიზი	11
6. კომიტეტის სხდომები/საკომიტეტო მოსმენები	16
7. საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო მისიებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები	18
8. მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადება – თანამდებობის პირების გამწესებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებაში მონაწილეობის მიღება.....	18
9. რეკომენდაციები	18

მასალაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციას. შესაბამისად, საელჩო არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

თბილისი, 2016

შესავალი

დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინაშე არსებული თანამედროვე საფრთხეების სპეციფიკის გათვალისწინებით, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება მრავალი მექანიზმის ურთიერთქმედებასა და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამ ამოცანის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების ქმედითი ინსტრუმენტების შექმნა – მათი გამართული ფუნქციონირება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას და ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის მყარ გარანტიებს, მეორე მხრივ კი უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

ამდენად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იმ პრინციპების, მიმართულებების (პოლიტიკის) და პრაქტიკის გაანალიზება, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ქვეყნის სამხედრო, საპოლიციო, უსაფრთხოების და სადაზვერვო ძალების (ინსტიტუტების) ანგარიშვალდებულება პარლამენტისადმი.

განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოებში უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის მნიშვნელოვან ბერკეტებს წარმომადგენლობით ორგანოებში შექმნილი პროფილური/სპეციალური კომიტეტები ფლობენ, რომლებიც აკონტროლებენ უსაფრთხოების სამსახურების პოლიტიკის, ადმინისტრირების და ბიუჯეტის ხარჯვის საკითხებს, ამოწმებენ აღნიშნული სამსახურების საქმიანობის საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობას, ზოგიერთ შემთხვევაში კი განიხილავენ ინდივიდუალურ საჩივრებს. განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის მაგალითი, სადაც სპეციალური საკანონმდებლო აქტით დეტალურად არის რეგლამენტირებული უსაფრთხოების (დაზვერვის) ორგანოების საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხები.

საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, პარლამენტში, ასეთი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მთავარი სამუშაო ორგანო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტია (შემდეგში – „კომიტეტი“). სწორედ ამით არის გამოწვეული ჩვენი კვლევის საგნად ზემოაღნიშნული კომიტეტის საქმიანობის შესწავლის განსაზღვრა.

კომიტეტის საქმიანობაზე დაკვირვებით ვლინდება უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის მხრივ არსებული პრობლემები, გამოწვევები და მათი გადალახვის გზები.

კომიტეტის მანდატი და მისი საქმიანობის წესი განსაზღვრულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, მათ შორის, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით“, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, „თავდაცვის შესახებ“, „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

აღნიშნული ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, კომიტეტი აღჭურვილია კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობისა და საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების რიგი მნიშვნელოვანი მექანიზმებით, როგორც არის კანონპროექტების ინიცირება და საპარლამენტო და/ან არასაპარლამენტო სუბიექტების მიერ ინიცირებული კანონპროექტების განხილვა (დასკვნების მომზადება); უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საბიუჯეტო კონტროლი (სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების პროცესში მონაწილეობა და მისი შესრულების ზედამხედველობა); აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული თანამდებობის პირების თანამდებობაზე გამწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში მონაწილეობის მიღება; პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების კომიტეტის სხდომაზე მიწვევა; შესაბამისი სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშების მოსმენა; ინფორმაციის გამოთხოვა; სახელმწიფო დაწესებულებებისათვის კითხვით მიმართვა და სათანადო რეაგირება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კომიტეტის საქმიანობის ანალიზი და სათანადო რეკომენდაციები სწორედ კომიტეტის მიერ ზემოხსენებულ უფლებამოსილებათა განხორციელების და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების მონიტორინგს ეფუძნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის ცალკეული ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია.

კომიტეტის საქმიანობის მონიტორინგი განხორციელდა 2015 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში (საანგარიშო პერიოდი), თუმცა, სრულყოფილი შეფასებების გაკეთებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს პარლამენტიდან გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 თებერვლამდე კომიტეტის მიერ სხვადასხვა საკითხზე მომზადებული დასკვნები და კომიტეტის წევრთა ინიციატივით შექმნილი კანონპროექტები, აგრეთვე კომიტეტის მიერ გაგზავნილი და მიღებული ოფიციალური კორესპონდენციის ასლები. კვლევის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფი თანამშრომლობდა კომიტეტის აპარატთან, ჩატარდა ინტერვიუები კომიტეტისა და ნდობის ჯგუფის ცალკეულ წევრებთან¹, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამასთან, განხორციელდა პარლამენტის ვებგვერდის მონიტორინგი. სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლისა და კომიტეტის სხდომების ანალიზის შედეგად მომზადდა ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები.

კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი/კომიტეტის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდნენ სამოქალაქო სექტორთან. კომიტეტმა ჩაატარა არაერთი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან როგორც კომიტეტთან შექმნილი თავდაცვისა და

¹ ნდობის ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობა ამ კვლევის საგანი არ არის.

უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში, ასევე კონკრეტული თემების ირგვლივ ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფების რეჟიმში. კომიტეტმა ძირითადად უზრუნველყო არასამთავრობო სექტორის აქტიური მონაწილეობა განხილულ კანონპროექტებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში. კერძოდ, შესაბამის ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა, კომიტეტისათვის მიეწოდებინათ თავიანთი ხედვები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე, გასცნობოდნენ როგორც უშუალოდ კანონპროექტთა ავტორების (მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების), ასევე პარლამენტის წევრების მოსაზრებებს.

საქართველოს პარლამენტიდან (მათ შორის, კომიტეტის აპარატიდან) საჯარო ინფორმაციის მიღების კუთხით მონიტორინგის ჯგუფს სირთულეები არ შეჰქმნია.

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ანალიზი მისი ეფექტიანობის განსაზღვრის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. კვლევის მიზნებისათვის კომიტეტის საქმიანობა ამ კუთხით ორ ნაწილად არის დაყოფილი:

ა) კომიტეტის აპარატის, კომიტეტის თავმჯდომარის ან/და სხვა წევრების მიერ კანონპროექტების მომზადება/შემუშავება და კომიტეტის, მისი თავმჯდომარის ან/და სხვა წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება²;

ბ) კანონპროექტების (მათ შორის, სხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო სუბიექტების მიერ ინიცირებული კანონპროექტების) განხილვა/შესაბამისი დასკვნის მიღება.

შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით³, 2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე ფიქსირდება კომიტეტის, კომიტეტის თავმჯდომარის ან კომიტეტის წევრის მიერ ინიცირებული შემდეგი საკანონმდებლო წინადადებები:

კომიტეტის წევრის - ირაკლი ჩიქოვანის მიერ მომზადდა და ინიცირებული იქნა (2015 წლის 13 თებერვალი) კანონპროექტთა პაკეტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული პაკეტი ითვალისწინებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არასაიდუმლო ინფორმაციის კომიტეტისათვის, ხოლო საიდუმლო ინფორმაციის ნდობის ჯგუფისათვის სავალდებულო წესით მიწოდებას (თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 მილიონ ლარს, ხოლო შესასყიდი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება - 4 მილიონ ლარს). ხსენებული კანონპროექტები მიღებული იქნა

² იგულისხმება ინიციატივები კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე (თავდაცვისა და უშიშროების სფერო). სხვა საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტის წევრების მიერ განხორციელებული ინიციატივა ამ კვლევის საგანი არ არის.

³ საქართველოს პარლამენტის აპარატის 2015 წლის 31 აგვისტოს № 37985/2-4 და 2016 წლის 10 თებერვლის № 1088/2-4 წერილები.

საქართველოს პარლამენტის მიერ⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს წინ უსწრებდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს ანალოგიური პრინციპის ამოქმედება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებით⁵.

2014-2015 წლებში ასევე მიმდინარეობდა 2014 წლის აპრილში კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ინიცირებული კანონპროექტთა პაკეტის (*კანონპროექტები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე*) განხილვაც. აღნიშნული პაკეტი მომზადებული იქნა კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ⁶. ხსენებულ კანონპროექტთა განხილვის მიზნით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე პარტნიორი სახელმწიფოების ექსპერტები. კანონპროექტთა პაკეტი პარლამენტის მიერ მიღებული იქნა 2015 წლის თებერვალში⁷ და იგი მიზნად ისახავს სახელმწიფო საიდუმლოების განსაზღვრისა და დაცვის ახლებური სისტემის შექმნას, უსაფრთხოების განმტკიცებასა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას.

კომიტეტის თავმჯდომარის მიერ, აგრეთვე, შემუშავებული იქნა კანონპროექტი *„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“*, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების შენარჩუნებას, თუ იგი სამსახურიდან დათხოვნილი იქნა არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის, არამედ სხვა სახის არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უარყოფითი დასკვნა წარადგინა⁸. შემუშავებულ კანონპროექტს სათანადო მსვლელობა აღარ მისცემია და იგი არ ყოფილა ოფიციალურად ინიცირებული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე პერიოდში, ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო პროექტთა პაკეტის შემუშავება/ინიცირების გარდა, კომიტეტის კანონშემოქმედებითი აქტივობა სხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო სუბიექტების

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128414>.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128426>.

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1949768>.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1949752>.

⁶ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები 2014 წლის პირველ ივნისამდე იქნა ინიცირებული, თუმცა იმის გამო, რომ მათი განხილვა 2014-2015 წლებში მიმდინარეობდა, მაინც იქნა ასახული ანგარიშში.


⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2750311?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2747649>.


⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 25 დეკემბრის წერილი №9578.

მიერ ინიცირებული კანონპროექტების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებასაც მოიცავდა.

კერძოდ, კომიტეტის მიერ განხილული იქნა 22 საკანონმდებლო ინიციატივა⁹. აქედან 5-თან დაკავშირებით კომიტეტს შენიშვნები არ გამოუთქვამს, ხოლო 8 პროექტთან (პროექტთა პაკეტთან) მიმართებით მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შენიშვნები დაფიქსირდა. თემატური (არსებითი, არატექნიკური) ხასიათის შენიშვნები ასახული იქნა 9 საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით მიღებულ დასკვნებში.



ზემოხსენებულ პროექტებთან დაკავშირებით კომიტეტის შესაბამის დასკვნებში ჯამში ასახული იქნა 42 შენიშვნა¹⁰. მათ შორის 20 ტექნიკური და 22 არსებითი ხასიათის:



განხილულ კანონპროექტთაგან აღსანიშნავია, რომ 2015 წელს კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტზე, რომელმაც უზრუნველყო შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ცალკეული ფუნქციების, უწყებების

⁹ იგულისხმება საკანონმდებლო აქტის პროექტი ან პროექტთა პაკეტი, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელია არაერთ კანონპროექტს მოიცავდეს, თუმცა ანგარიშის მიზნებისათვის ისინი საკანონმდებლო ინიციატივათა სტატისტიკაში ცალკე არ მოიაზრებიან, აქვე იგულისხმება საქართველოს პარლამენტის ერთი დადგენილების პროექტი.

¹⁰ **შენიშვნა:** იგულისხმება კომიტეტის დასკვნებში ასახული შენიშვნები. კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც ასახული არ იქნა დასკვნებში, ამ სტატისტიკის ნაწილს არ წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ რიგ შემთხვევებში მომხსენებლები (კანონპროექტის წარმდგენი) და კომიტეტის წევრები გამოთქმულ შენიშვნებზე აღწევენ შეთანხმებას სხდომაზე, რის გამოც შესაბამისი მოსაზრებები ფიქსირდება არა კომიტეტის დასკვნაში, არამედ შეთანხმების ფურცელში.

გამოყოფა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შექმნა. კომიტეტის მიერ კანონპროექტთა ამ პაკეტზე გამოთქმული იქნა 7 შენიშვნა, აქედან 4 არსებითი ხასიათის იყო. ერთ-ერთი მათგანი ემსახურებოდა ახლად შესაქმნელი სამსახურის ფუნქციების დაზუსტებას დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღკვეთასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომიტეტმა მოითხოვა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღნიშნული ფუნქციის განხორციელების უფლებამოსილება ჰქონოდა არა ყველა სამართალდარღვევის, არამედ მხოლოდ მის საგამომიებო ქვემდებარეობაში არსებული დანაშაულების მიმართ, რაც გათვალისწინებული და ასახული იქნა კანონპროექტში.

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მრავალი არსებითი შენიშვნა გამოთქვა არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა. მათი ნაწილი გათვალისწინებული იქნა მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, თუმცა გაუთვალისწინებელი დარჩა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა რიგი მნიშვნელოვანი შენიშვნებისა, მათ შორის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიც არის: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშვალდებულების მექანიზმი; სამსახურის უფლებამოსილება – აწარმოოს გამოძიება, მონაწილეობა მიიღოს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში, ასევე, ჰქონდეს პირის შეჩერების, გამოკითხვის, იძულებითი ღონისძიებებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

საგულისხმოა, რომ ამ საკანონმდებლო პაკეტთან მიმართებით კომიტეტს წამყვანი კომიტეტის ფუნქცია არ ჰქონია მინიჭებული.

კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“¹¹ (თანდართულ საკანონმდებლო აქტების პროექტებთან ერთად) საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვაში. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით კომიტეტში გამართულ დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის წარმომადგენლები. მათი შენიშვნების ნაწილი, სხვადასხვა მნიშვნელოვან თემასთან ერთად, ეხებოდა უსაფრთხოების სფეროს ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებს (მათი დეფინიციები, რეგულირების სფერო და სხვ.), აგრეთვე, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შორის ფუნქციების დუბლირების თავიდან აცილების საკითხებს.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს. ამასთან, დასკვნაში აღნიშნა, რომ „სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას კომიტეტის წევრების, ეროვნული უშიშროების საბჭოს, საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ მიერ გამოითქვა შენიშვნები. კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების ნაწილი კანონპროექტის ინიციატორმა გაიზიარა, რაც შესაბამისად აისახა კანონპროექტის რედაქციაში“.

¹¹ აღნიშნული კანონის საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო შეიქმნა.

კანონის მიღების შემდეგ ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და კოორდინაციის თემა მრავალჯერ იქცა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მსჯელობისა და კრიტიკის საგნად.

კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი *„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“* (თანდართულ კანონპროექტებთან ერთად). აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებას კომიტეტმა მხარი დაუჭირა შენიშვნების გათვალისწინებით. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ კომიტეტმა მოითხოვა (დასკვნაში ასახული შენიშვნით), რომ რადიაციული ნარჩენების განთავსების ადგილის და მისი მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულიყო არა კანონქვემდებარე, არამედ საკანონმდებლო აქტებით.

კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს *„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“*¹². უარყოფითი პოზიციის არგუმენტებად დასახელებული იქნა *„ევროკავშირთან ასოცირების პროცესში მიგრაციულ პროცესებთან და სავიზო პროცედურებთან დაკავშირებით სწორი პოლიტიკის წარმართვის მნიშვნელობა“* და ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი.

2015 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები *„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“*. ხნეული კანონის საფუძველზე განხორციელდა უცხოელთათვის სავიზო რეჟიმის გამარტივება მთელი რიგი მიმართულებებით.

კომიტეტის არსებითმა შენიშვნამ დადებითი როლი ითამაშა საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე *„სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“*, რომელიც ითვალისწინებდა „შუღლის გაღვივების მიზნით მოწოდების“ დასჯადობას. კომიტეტის წინადადების საფუძველზე აღნიშნული პროექტი კორექტირებული იქნა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2015 წლის ივნისში კომიტეტის თავმჯდომარემ სამუშაო შეხვედრა გამართა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან *„ნდობის ჯგუფის შესახებ“* საქართველოს კანონში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენისა და მასში შესაძლო ცვლილებების განხილვის მიზნით. აღნიშნულ შეხვედრაზე კომიტეტის თავმჯდომარემ

¹² კანონპროექტი სავიზო რეგულაციების გამარტივებას ითვალისწინებდა.

შესაბამის ექსპერტებს მიმართა თხოვნით, კომიტეტის აპარატისთვის მიეწოდებინათ საკანონმდებლო წინადადებები, რაც უზრუნველყოფდა ნდობის ჯგუფის საქმიანობის მექანიზმების გამლიერებას.

საანგარიშო პერიოდში ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტში დამატებით შეხვედრა არ გამართულა.

კომიტეტის პრაქტიკული საქმიანობის ანალიზიდან და მის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტების, ასევე წარდგენილ კანონპროექტებზე კომიტეტის კრიტიკული შენიშვნების სიმწირე, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, შესაძლოა აგრეთვე უკავშირდებოდეს ხელისუფლების დღის წესრიგში არსებული საკითხების (განსახილველი პროექტების) საპარლამენტო უმრავლესობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის წინასწარ (პროექტის ინიცირებამდე) კოორდინირებასა და განხილვას.

საბიუჯეტო კონტროლი

საქართველოს პარლამენტის მიერ საბიუჯეტო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება წარმოადგენს. ამ პროცესში შესაბამისი პროექტების/წინადადებების განხილვა კომიტეტს უსაფრთხოების ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისა და ზედამხედველობის ეფექტიან ინსტრუმენტებს ანიჭებს.

საქართველოს პარლამენტის აპარატისგან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად¹³, დადგინდა, რომ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებით კომიტეტს შენიშვნა არ გამოუთქვამს, ხოლო 2015 წლის საბიუჯეტო კანონის პროექტთან მიმართებით კომიტეტის მიერ დასკვნაში ასახული იქნა ზოგადი ხასიათის შენიშვნა, რომელიც ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის მოთხოვნას ითვალისწინებდა.

ამასთან, კომიტეტის მიერ განხილული იქნა კანონპროექტი „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ“. კომიტეტის დასკვნა ხსენებული პროექტის თაობაზე მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა, ახდენს პროექტის ძირითადი დეტალების აღწერას და რაიმე სახის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს არ შეიცავს.

¹³ საქართველოს პარლამენტის აპარატის 2015 წლის 31 აგვისტოს №37985/2-4 და 2016 წლის 10 თებერვლის №1088/2-4 წერილებით წარმოდგენილი კომიტეტის 2014 წლის 10 ოქტომბრის №11241, 2015 წლის 3 ივლისის №37908 და 2015 წლის 7 ოქტომბრის №11574 დასკვნები.

ეფექტიანი საზედამხებდველო უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს ასევე წარმოადგენს საქართველოს პარლამენტში (და, შესაბამისად, კომიტეტში) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის პროცედურა. პარლამენტის აპარატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად¹⁴, 2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე კომიტეტის მიერ განხილული იქნა 2013 და 2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები. აღნიშულთან დაკავშირებით კომიტეტის შესაბამის დასკვნებში შენიშვნები ასახული არ არის.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იქნა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ მაღალბიუჯეტური შესყიდვების შესახებ კომიტეტის ინფორმირების კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების¹⁵ აღსრულების პრაქტიკა. შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი¹⁶ ადასტურებს, რომ კომიტეტს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან მიეწოდებოდა კანონით განსაზღვრული ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფდა კომიტეტის ინფორმირებულობის დონის ზრდას მასშტაბურ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით. თუმცა შესწავლილ მასალებში არ მოიპოვება მონაცემები ამ ინფორმაციის ეფექტიანად გამოყენების შესახებ (*დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა, შეკითხვის დასმა, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის მოწვევა, საკომიტეტო განხილვა და ა.შ.*).

უსაფრთხოების სექტორზე საბიუჯეტო კონტროლისათვის სხვა მნიშვნელოვან მექანიზმებთან ერთად შესაძლოა, აგრეთვე, გამოყენებული იქნეს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მონიტორინგის შედეგები (შეფასებები), ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნები უსაფრთხოების სექტორის ორგანოების მიერ საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ არ ჩატარებულა საკომიტეტო მოსმენა ზემოაღნიშნულ კვლევებთან და შეფასებებთან დაკავშირებით.

ოფიციალური კორესპონდენციის ანალიზი

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იქნა კომიტეტის (თავმჯდომარის, აპარატის) მიერ უსაფრთხოების სექტორის და სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებში (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, დაზვერვის სამსახურში,


¹⁴ პარლამენტის აპარატის 2015 წლის 31 აგვისტოს №37985/2-4 წერილით წარმოდგენილი კომიტეტის 2014 წლის 21 ივლისის №7687 დასკვნა.

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22² მუხლი და „თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3¹ პუნქტი.

¹⁶ თავდაცვის სამინისტროს 27.06.2014 №5 14 00400048, 16.02.2015 №2 15 00118930, 20.07.2015 № 1 15 00576940, 24.11.2015 №1 15 00981472, 24.11.2015 №8 15 00979922, 31.03.2015 №7 15 00246924, 14.11.2014 № 8 14 00760916, 30.06.2015 № 3 15 00511259 წერილები.

იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში) გაგზავნილი წერილების ასლები და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხები.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ კომიტეტის მიერ 2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე ზემოაღნიშნულ უწყებებში გაიგზავნა 45 წერილი¹⁷, მათ შორის 19 - თავდაცვის სამინისტროში, 11 - შინაგან საქმეთა სამინისტროში, 4 - მთავრობის საპარლამენტო მდივანთან, 4 - დაზვერვის სამსახურში, 3 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, 2 - იუსტიციის სამინისტროში, 1 - საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, 1 - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში.



აღნიშნული კორესპონდენციიდან 21 წერილი ეხება შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა მიწვევას სხვადასხვა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად (მათ შორის, კომიტეტის მხარდაჭერით გამართულ მრგვალ მაგიდებსა და სემინარზე), აგრეთვე, კომიტეტის აპარატის მოხელეთა წარდგენას აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

5 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა ანგარიში კომიტეტიდან გადაგზავნილი კორესპონდენციის (ძირითადად მოქალაქეთა განცხადებების) შესწავლისა და მათზე რეაგირების შესახებ.

კომიტეტის მიერ მთავრობის საპარლამენტო მდივანისგან სამჯერ იქნა გამოთხოვილი ანგარიში (ინფორმაცია) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დავალებების შესრულების (სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადებისა და მიღების) თაობაზე.

¹⁷ სტატისტიკაში არ არის ასახული კომიტეტის ის წერილები, რომელთა მეშვეობით მოქალაქეების მიერ კომიტეტში წარდგენილი განცხადებები გადაეგზავნა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს.

კომიტეტის მიერ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში გაიგზავნა 10 წერილი სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის აღსანიშნავია, რომ კომიტეტის თავმჯდომარემ 2015 წლის 3 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა წინადადებით, განხილულიყო საკითხი ყოველთვიური 1000 ლარიანი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ¹⁸. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ამ ეტაპზე განხორციელებული არ არის; შესწავლილ დოკუმენტაციაში არც ხსენებულ საკითხზე მთავრობის პოზიციის ამსახველი ინფორმაცია ფიქსირდება.

2015 წლის 10 დეკემბერს კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართა წერილით თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის კონტრაქტის ფორმაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზანშეწონილობის თაობაზე, ასევე მიუთითა კონკრეტული პრობლემური პუნქტების შესახებ. ამავე წერილით¹⁹ კომიტეტის თავმჯდომარემ გამოხატა პოზიცია აღნიშნულ თემაზე კომიტეტის ფორმატში მსჯელობის მიზანშეწონილობის შესახებ. განხორციელებული მონიტორინგისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ან კომიტეტის მიერ ამ მიმართულებით არსებითი ნაბიჯები ამ დრომდე არ გადადგმულა (2016 წლის 15 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობა, რომ სამინისტროში დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სამხედრო მოსამსახურებთან დასადები კონტრაქტების დახვეწის მიზნით და აღნიშნული პროცესი კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობით წარიმართება)²⁰.

კომიტეტის თავმჯდომარე აგრეთვე დაინტერესდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტებით, რომელთა საფუძველზეც გაიცემოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების, თავდაცვის სისტემის საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა დანამატები²¹. კომიტეტს მიეწოდა აღნიშნული მონაცემები, თუმცა შესაბამისი მასალებისა და კომიტეტის საქმიანობის შესწავლით არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ გადადგმული შემდგომი ნაბიჯების შესახებ.


¹⁸ 2013 წლის 25 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს და ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ან ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს დანიშნული აქვთ ყოველთვიური სახელმწიფო კომპენსაცია 1000 ლარის ოდენობით.

¹⁹ კომიტეტის თავმჯდომარის 2015 წლის 10 დეკემბრის №11247/4-8 წერილი.

²⁰ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 15 თებერვლის №61600146013 წერილი.


²¹ კომიტეტის თავმჯდომარის 2015 წლის 7 სექტემბრის №8084/4-8 წერილი.

დეტალური ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ზემოხსენებულ უწყებებში გაგზავნილი წერილების შინაარსის შესახებ იხილეთ დიაგრამაში:



- მიწვევა და წარმომადგენელთა წარგზავნა სხვადასხვა ღონისძიებაზე – 21
- ინფორმაციის მოთხოვნა კომიტეტიდან გაგზავნილ კორესპონდენციაზე რეაგირების შესახებ (სულ თავდაცვაში) – 5
- სოციალურ საკითხზე – 10
- ინფორმაციის მოთხოვნა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დაფალების შესრულების თაობაზე – 3
- არასამთავრობო ორგანიზაციის წერილის გადაგზავნა დანიშნულებისამებრ – 3
- წინადადება საკონტრაქტო სამსახურის გავლის ხელშეწყობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე – 1
- ინფორმაციის მოთხოვნა სახელფასო დანამატების განმარტებითი სამართლებრივი აქტების თაობაზე – 1
- მიმართვა სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე სტიქიური მოვლენების შედეგად შექმნილი ვითარების შესწავლისა და რეაგირების შესახებ – 1

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილი იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების მიერ კომიტეტში გაგზავნილი კორესპონდენციაც. დადგინდა, რომ 2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე ზემოაღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებებიდან კომიტეტში გაგზავნილი იქნა 36 ოფიციალური წერილი. მათ შორის, 24 თავდაცვის სამინისტროდან, 5 - მთავრობის საპარლამენტო მდივნისგან, 2 - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატიდან, 2 - იუსტიციის სამინისტროდან, 2 - შინაგან საქმეთა სამინისტროდან, 1 - დაზვერვის სამსახურიდან.




ზემოაღნიშნულთაგან 11 წერილი ეხება სხვადასხვა ღონისძიებაში (მრგვალი მაგიდა, სემინარი და ა.შ.) კომიტეტის და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობას და მათთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს.

7 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კომიტეტში წარდგენილია ინფორმაცია უწყების მიერ დაგეგმილი მაღალბიუჯეტური სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. აგრეთვე, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, კომიტეტში გაიგზავნა *სს „სილქნეტსა“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილობრივ განსაიდუმლოებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძნებების ასლები.*

კორესპონდენციაში აგრეთვე არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 4 პასუხი კომიტეტიდან გაგზავნილ წერილებზე რეაგირებასთან დაკავშირებით.

ამავე პერიოდში საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დავალებების (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება) შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. წერილებში ფიგურირებს, აგრეთვე, მთავრობის საპარლამენტო მდივანის და სხვადასხვა უწყების დასკვნები ცალკეულ კანონპროექტებზე, ასევე, ინფორმაცია კომიტეტისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისგან შესაბამისი მონაცემების მიწოდებისა და კომიტეტის მიერ დასმული საკითხების განხილვის შესახებ.

დეტალური მონაცემები იხილეთ დიაგრამაში:



- მიწვევა და წარმომადგენელთა წარგზავნა სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად – 11
- ინფორმაცია მადალბიუჯეტის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ – 7
- ინფორმაცია კომიტეტიდან გაგზავნილ წერილებზე რეაგირების შესახებ – 4
- ინფორმაცია საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დავალებების შესრულების თაობაზე – 2
- დასკვნები კომიტეტის მიერ გადაგზავნილ კანონპროექტებთან დაკავშირებით – 5
- ინფორმაცია თავედაცვის სამინისტროსა და სს „სილქნეტს“ შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილობრივ განსაიდუმლოების შესახებ – 2
- წერილი სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე სტიქიური მოვლენების შედეგად შექმნილი ვითარების შესწავლისა და რეაგირების შესახებ – 1
- ინფორმაცია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ – 1
- ინფორმაცია „ქართულ-ოსურ ზონაში“ სამხედრო მოსამსახურეთა დაღუპვის შესახებ – 1
- სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროდან არამალთხომიერი ქმედებისთვის დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ – 1
- მონაცემები თავედაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სახელფასო დანამატების თაობაზე – 1

შენიშვნა: ინფორმაცია წერილების შესახებ არ შეიცავს მონაცემებს კომიტეტსა და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს შორის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი კორესპონდენციის შესახებ.

კომიტეტის სხდომები/საკომიტეტო მოსმენები

კომიტეტის სხდომების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში (2015 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე) ჩაატარა 16 სხდომა. მათ შორის აღსანიშნავია, რომ, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, სამთავრობო

პროგრამის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშის განხილვის ფარგლებში, კომიტეტმა მოისმინა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ანგარიში²².

თავდაცვის მინისტრმა დეტალურად ისაუბრა იმ რეფორმებსა და ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებაც თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა ან იგეგმებოდა, მათ შორის იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ნატო-ს უელსის სამიტზე მიღებული პაკეტის ფარგლებში ტარდებოდა. სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარე დაინტერესდა მთავრობის პროგრამით გათვალისწინებული საინფორმაციო უსაფრთხოების დოქტრინის მზადების პროცესით.

კომიტეტის მონიტორინგის შედეგები და შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ კომიტეტის წერილობითი კომუნიკაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაცილებით უფრო ინტენსიურია, ვიდრე უსაფრთხოების სექტორის სხვა დაწესებულებებთან.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ყურადღება არაერთხელ მიიპყრო ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა რიგმა მნიშვნელოვანმა საკითხებმა, მათ შორის „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებებმა და მათმა შესაძლო გავლენამ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე.

ამავე პერიოდში აქტიური განხილვის საგნად იქცა საზოგადოებაში არსებული აღქმები კრიმინალის დონის ზრდასთან დაკავშირებით, აგრეთვე ვრცელდებოდა ცნობები პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების შეგროვებისა და გავრცელების თაობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მედიასაშუალებების მიერ არაერთხელ აღინიშნა სამართალდაცვითი და უსაფრთხოების სტრუქტურების წარმომადგენელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ, მათ შორის საგულისხმოა ცნობები კონკრეტული პირების მიერ ე.წ. „ნარეზილოვკების“²³ არამართლზომიერად გამოყენების თაობაზე.

კომიტეტის საქმიანობის შესწავლის შედეგად არ მოიპოვება ინფორმაცია ზემოხსენებულ თემებთან დაკავშირებით კომიტეტის წერილობით კომუნიკაციაზე შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ან აღნიშნული თემების ირგვლივ კომიტეტის მიერ ჩატარებულ განხილვებზე (ოფიციალური).

²² შენიშვნა: ამავე პერიოდში მოხდა საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება, რის ფარგლებშიც ოთხი საპარლამენტო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განხორციელდა შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრების, აგრეთვე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოსმენა.

²³ საბუთი, რომლითაც რიგ შემთხვევებში სამართალდაცვითი და/ან სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომლის ქმედება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავისუფლდება სამართალდაცვითი სტრუქტურების კონტროლისაგან.

საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო მისიებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები

2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე კომიტეტის მიერ განხილული იქნა 11 საერთაშორისო ხელშეკრულება, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო მისიასა და ოპერაციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა წარგზავნაზე თანხმობის მიცემის საკითხი. ყველა შემთხვევაში გაცემული იქნა დადებითი დასკვნები.

მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადება – თანამდებობის პირების გამწესებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებაში მონაწილეობის მიღება

2014 წლის ივნისიდან 2016 წლის თებერვლამდე კომიტეტმა სამჯერ განიხილა სამთავრობო შემადგენლობა/პროგრამა და ნდობა გამოუცხადა მას. დადებითი დასკვნა იქნა გაცემული, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის წარდგინებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ.

რეკომენდაციები:

- უსაფრთხოების სექტორზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით აქტიურად იქნეს გამოყენებული საკომიტეტო მოსმენებზე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიწვევის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება;
- უზრუნველყოფილი იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებზე საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის რეგულარულად მოთხოვნა/მიღება, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის მიღების ფორმების ინსტიტუციონალიზაცია (ოფიციალურად მოთხოვნა/მიღება);
- შემუშავდეს წინადადებები უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული კონტროლის გაძლიერების დამატებითი მექანიზმების ამოქმედებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით შესწავლილი იქნეს როგორც საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები;
- უზრუნველყოფილი იქნეს კომიტეტის ეფექტიანი მონაწილეობა თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანოთა ბიუჯეტების დაგეგმვის პროცესში. ამ მიზნით შეიქმნას შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებისგან ფინანსური საჭიროებებისა და ხარჯების თაობაზე ინფორმაციის მიღების დამატებითი ინსტრუმენტები, აგრეთვე, მიღებული მონაცემების კომიტეტში განხილვისა და ანალიზის ეფექტიანი სისტემა. გარდა ამისა, შესწავლილი და განხილული იქნეს ამავე თემებზე სახელმწიფო

აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი დასკვნები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და გაკეთებული შეფასებები;

- რეგიონში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რთული გარემოსა და ასიმეტრიული საფრთხეების ზრდის გათვალისწინებით, განხილული იქნეს უსაფრთხოების სექტორის შესაბამისი დაწესებულებების შესაძლებლობათა გაძლიერების საკითხი, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების გაზრდის მეშვეობით;
- შესწავლილი იქნეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ჰიბრიდულ საფრთხეებზე რეაგირების არსებული მექანიზმები (მათ შორის, საკანონმდებლო ბაზა) და, გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით, შემუშავდეს წინადადებები მათი ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის;
- შემუშავდეს საკანონმდებლო წინადადებები სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციების დაზუსტებისა და მათ შორის კოორდინაციის მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საქართველოს პრეზიდენტის ინფორმირების მექანიზმებს იმ კრიზისებთან დაკავშირებით, რომელთა გართულება შესაძლოა საგანგებო და/ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებას საჭიროებდეს;
- ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ამოცანების ირგვლივ საზოგადოების კონსოლიდაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, შემუშავდეს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინოს კონკრეტულ წინადადებათა ერთობლიობა (გადაწყვეტილების პროექტი), რათა ხელი შეეწყოს პოლიტიკურ ძალთა შორის თანხმობის მიღწევას ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტურ საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სტრატეგიულ კომუნიკაციას უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის თემებზე;
- განხორციელდეს ეფექტიანი მონიტორინგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შსს) და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში (სუს) მიმდინარე რეფორმებზე. ამ მხრივ, სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, შესწავლილი და განხილული იქნეს აღნიშნულ უწყებებში სამოქმედო პოლიტიკისა და პრინციპების განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავებისა და აღსრულების პროცესი, აგრეთვე, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის საკითხი;
- განხილული იქნეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშვალდებულების მექანიზმის ეფექტიანობის უზრუნველყოფის საკითხი.
- ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესების შესახებ საზოგადოებაში არსებული აღქმების გათვალისწინებით, პარლამენტის შესაბამის პროფილურ

კომიტეტებთან ერთად, შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს დანაშაულთან ბრძოლის მოქმედი სტრატეგია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხედვა (მათ შორის, კონკრეტული გეგმები) შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. ამასთან, განხორციელდეს აქტიური მონიტორინგი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით დაგეგმილ და გატარებულ ღონისძიებებზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის პროფილურ კომიტეტებთან, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით, შემუშავდეს კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები;

- განხორციელდეს ეფექტიანი კონტროლი კანონმდებლობით განსაზღვრული თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის) შესრულებაზე. ამ მიზნით შემუშავებული იქნეს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციის ქმედითი მექანიზმები; ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, კომიტეტი აქტიურად ჩაერთოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმების, მათ შორის, თავდაცვის მიმოხილვის პროცესში (SDR);
- აქტიური მონიტორინგი დაწესდეს ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის განხორციელებაზე. აგრეთვე, შესწავლილი იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნატო-ს ვარშავის სამიტისათვის მზადების პროცესი მასში საქართველოს პარლამენტის (პარლამენტის შესაბამისი წევრების) ეფექტიანად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად (*მათ შორის, ნატო-ს მოახლოებულ საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს ინტერესების ეფექტიანად ადვოკატირებისათვის*).
- გაძლიერდეს კომიტეტის აპარატის ადამიანური რესურსი, რათა აპარატს მიეცეს შესაძლებლობა, ეფექტიანად შეისწავლოს და გაანალიზოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მხრივ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და, შესაბამისად, შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები კომიტეტისათვის.

რეკომენდაციები მომზადებულია საანგარიშო პერიოდში კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოკვეთილ აქტუალურ საკითხებზე.